ფაკულტეტი	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბაკალავრო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
პროგრამის ხელმძღვანელი	ასოცირებული პროფესორი მარინე მათიაშვილი
პროგრამის მოცულობა	240 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია **სწავლის შედეგებზე ფოკუსირებული და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარებით აღჭურვაზე ორიენტირებული მიდგომით** მოამზადოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც: ➢ ბაზისური ბიოსამედიცინო კვლევის მეთოდების და მტკიცებულებებზე დამყარებული პრაქტიკის გაცნობიერებით და გამოყენებით, ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაყრდნობით უზრუნველყოფს ნებისმიერ ასაკში ფუნქციის და მოძრაობის შეზღუდვით მიმდინარე სხვადასხვა ტიპის პათოლოგიური მდგომარეობის პრევენციას, სარეაბილიტაციო შეფასებას, ინტერვენციას და მართვას, ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციური მოძრაობის პოტენციალის გაუმჯობესებისათვის; ➢ სათანადო ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარების გამოყენებით, შეძლებს მუშაობას მულტი– და/ან ინტერდისციპლინურ გუნდში, სტაციონარულ თუ ამბულატორიულ პირობებში; ➢ ახორციელებს საკუთარ პრაქტიკას პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინებით; ➢ დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლო ფორმით აღწევს თავისი პრაქტიკის სრულყოფას და პროფესიულ წინსვლას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების

	საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.
სწავლების მეთოდები	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი ფორმები და მეთოდები: • ინტერაქტიული ლექციები • სემინარები • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება • შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება/კლინიკური შემთხვევის შესწავლა • პრაქტიკული მეცადინეობები • ლაბორატორიული სავარჯიშოები • სწავლება სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით • სწავლა გამოცდილებით/კლინიკური პრაქტიკა • სამეცნიერო/კლინიკურ კვლევაში მონაწილეობა • ჯგუფური მუშაობა • ჯგუფური პროექტი • გონებრივი იერიში • როლური და სიტუაციური თამაშები • მონაცემთა ანალიზი • დისკუსია/დებატები • დემონსტრირების მეთოდი
სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა	ერთი აკადემიური წელი საშუალოდ მოიცავს 60 კრედიტს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით: შეფასების სისტემით დაშვებულია: ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება: • (**A**) ფრიადი - 91-100 ქულა; • (**B**) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; • (**C**) კარგი - 71-80 ქულა; • (**D**) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; • (**E**) საკმარისი - 51-60 ქულა. ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (**Fx**) ვერ ჩაბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (**F**) ჩაიჭრა - 40 და ნაკლები ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.
- დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს ეძლევა:

- ძირითად სასესიო პერიოდში გამოცდაზე გაუსვლელობის შემთხვევაში, მიზეზის მიუხედავად;
- ძირითად სასესიო პერიოდში შეფასების Fx მიღების შემთხვევაში.

საგნის/სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება არის 100 ქული, მათ შორის:

- შუალედური შეფასება (არის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამი) – მაქს. 60 ქულა
- დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქს. 40 ქულით

დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში.

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების/ქულის გათვალისწინებით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.
- სასწავლო კურსის/მოდულის შუალედური შეფასების ცალკეული მეთოდის/ნაწილის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა.

ასევე, მე-7 და მე-8 სემესტრებში სტუდენტი მუშაობს პორტფოლიოს შედგენაზე.

სწავლის შედეგები (სშ)	**ცოდნა და გაცნობიერება** **სშ-1. აქვს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფართო ცოდნა, შეუძლია დარგის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება:** • იცის და კრიტიკულად გაიაზრებს ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებების და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროს განმსაზღვრელ თეორიებს, კონცეფციებს და პრინციპებს, • აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს, ახდენს შესწავლილი კურსებისა და სხვა გამოცდილებით მიღებული ცოდნის სინთეზს, • იცის ფუნქციონირების, უნარშეზღუდულობის და ჯანმრთელობის ბიოფსიქოსოციალური მოდელი და კრიტიკულად გაიაზრებს მასზე დაფუძნებული რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას; • იცის პრაქტიკული/პროფესიული საქმიანობის ძირითადი ინტერვენციები, მეთოდები, ტექნოლოგიები და სარეაბილიტაციო პროგრამები, გააზრებული აქვს დარგის კომპლექსური პრობლემები და მათი გადაჭრის თანამედროვე გზები; • გაზიარებული აქვს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპები, დარგის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში როგორც ინდივიდური საქმიანობის, ისე მულტი/ინტერდისციპლინურ გუნდში მუშაობის პრინციპები, კომპლექსური პრობლემების გადაჭრის პროცესში. **უნარი** **სშ-2. შეუძლია პაციენტის გამოკვლევა, მიღებული ინფორმაციის შეფასება და კრიტიკული ინტერპრეტაცია, დაგეგმილი ინტერვენციის განხორციელება:** • შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვისა და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფისათვის; • იცის და შეუძლია ანამნეზის შეკრება და ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით, უსაფრთხოდ და პაციენტის უფლებებისა და ღირსების დაცვით; • შეუძლია გამოკვლევის შედეგების ანალიზი და კრიტიკული

	ინტერპრეტაცია, პაციენტის ფუნქციური შესაძლებლობების შეფასება პროგნოზისა და სარეაბილიტაციო პოტენციალის დასადგენად; • შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობა, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებული პრობლემების გადაჭრისათვის; • შეუძლია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტთან პაციენტის გადაგზავნის/ რეფერალის საჭიროების დადგენა; • ჩართულია სარეაბილიტაციო პროგრამის დაგეგმაში სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი (SMART) მიზნების, პაციენტის საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით; • პაციენტის სარეაბილიტაციო მართვაში შეუძლია გამოიყენოს ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაფუძნებული ჰოლისტიკური მიდგომა; სარეაბილიტაციო ინტერვენციას ახორციელებს უსაფრთხოდ და ეფექტურად, სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით; • შეუძლია შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა და დაცვა, შეუძლია გამოკვლევის, შეფასების შედეგების და რეაბილიტაციის/ფიზიკური თერაპიის პროცესის დოკუმენტირება, ნათელი და ზუსტი ჩანაწერების წარმოება, დადგენილი სტანდარტებით (SOAP), ეთიკური და სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით; • შეუძლია კვლევითი უნარების და მტკიცებითი მედიცინის პრინციპების გამოყენება. **სშ-3. შეუძლია მართვის უნარების პრაქტიკაში გამოყენება:** • შეუძლია პრაქტიკული საქმიანობის მიზნების იდენტიფიცირება, მათ მისაღწევად პრიორიტეტების დასახვა და საკუთარი სამუშაო დატვირთვის მართვა, არსებული რესურსების ეფექტური გამოყენებით; • შეუძლია ეფექტური მართვის უნარების დემონსტრირება და მულტი/ინტერდისციპლინური სარეაბილიტაციო გუნდის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა. **სშ-4. შეუძლია მონაცემების ინტეგრაცია და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება:** • შეუძლია მონაცემთა შეგროვება, დამოუკიდებელი ანალიზი, შეჯამება, კრიტიკული შეფასება და განმარტება; • შეუძლია კვლევის მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის მონაცემების დამუშავება და კრიტიკულად გააზრება;

	• შეუძლია კლინიკური დასაბუთების გამოყენებით ადეკვატური სარეაბილიტაციო მიზნების ჩამოყალიბება; • შეუძლია კლინიკური აზროვნების უნარის გამოყენება, სხვადასხვაგვარი მონაცემების ინტეგრაცია და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, ასევე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის მონაცემების ინტეგრაცია სათანადო სარეაბილიტაციო ინტერვენციის დაგეგმვასა და განხორციელებაში, დასკვნის დასაბუთება და ჩამოყალიბება; • შეუძლია განხორციელებული სარეაბილიტაციო პროცედურის შედეგის შეფასება და ანალიზი და სარეაბილიტაციო გეგმის მოდიფიცირების საჭიროების დადგენა; • შეუძლია მოიძიოს და მიაკვლიოს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას და საინფორმაციო წყაროებს, შეუძლია მიღებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. **სშ-5. შეუძლია ვერბალური, არავერბალური და წერილობითი კომუნიკაცია:** • შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე, ნათლად, თანმიმდევრულად, სტრუქტურირებულად და ლაკონურად დაამყაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, კონტექსტის შესაბამისად, იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება; • აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, ისევე როგორც არავერბალური კომუნიკაციის უნარი; • შეუძლია საკუთარ მოსაზრებების ეფექტურად გადმოცემა, სფეროსთვის დამახასიათებელი საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებში და საჯარო განხილვებში მონაწილეობა; • პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეუძლია ურთიერთობა ნათლად და პროფესიული პასუხისმგებლობით; • ფლობს და შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშულებებს ქართულ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, და ინფორმაციის/ნაშრომის ეფექტურად წარდგენისათვის; • შეუძლია კომუნიკაციის და ინფორმაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისა და დაცვისთვის.

	სშ-6. შეუძლია თანამშრომლობა მულტი- და ინტერდისციპლინურ გარემოში: • შუძლია ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების გამოყენება მულტი/ინტერდისციპლინური გუნდის დანარჩენ წევრებთან და სხვა ინდივიდებთან თუ ინდივიდთა ჯგუფებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით, შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, გუნდის წევრებთან შეთანხმება, განსხვავებული აზრის გათვალისწინება და პრობლემური სიტუაციების მართვა; • გააჩნია სათანადო პროფესიული ქცევა და დამოკიდებულებები, იცავს პროფესიულ და ორგანიზაციულ რეკომენდაციებს; • შეუძლია გუნდის წევრების შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება და კოორდინირება, საკუთარი და სხვათა როლის სათანადო შეფასება მულტი და ინტერდისციპლინურ გუნდში და ჯანდაცვის კონტინიუმში. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** **სშ-7. ჩართულია სწავლაში და ცოდნის მუდმივი განახლების აქტივობებში:** • შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ორგანიზება, სათანადო რესურსების გამოყენება, შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფისათვის; • შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, თვითგანათლების პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და მართვა; • აცნობიერებს რა სწავლის პროცესის უწყვეტობას, გამოიყენებს ახალი ცოდნის მიღების ყველა შესაძლებლობას და სრულყოფს თავის და ხელსუწყობს სხვების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას; • ფლობს შესაბამისი ცოდნას და უნარებს სწავლის გასაგრძელებლად უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე. **სშ-8. შეუძლია პროფესიული პასუხიმგებლობით, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით მოქმედება:** • მოქმედებს პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;

	• შეუძლია ეთიკური დილემის გაცნობიერება, ეთიკური მიდგომის დემონსტრირება პრაქტიკულ საქმიანობასა და კვლევაში, ისწრაფვის ეთიკური პრინციპების დასამკვიდრებლად საკუთარ კლინიკურ პრაქტიკაში; • პატივისცემით ეკიდება პაციენტის უფლებებს; • მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, ამკვიდრებს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ეფექტურ პრაქტიკას; • შეუძლია რთული და გაუთვალისწინებელი გარემოებების სათანადო მართვა მულტი/ინტერდისციპლინურ გუნდში, განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; • შეუძლია ბიოფსიქოსოციალური მოდელის გამოყენება ჯანმრთელობის ხელშეწყობის და პრევენციის სტრატეგიის დანერგვაში; • ავლენს გულისხმიერებას და პატივს სცემს სხვათა შეხედულებებსა და ღირებულებებს, უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველასთვის, მიუხედავად სქესის, ასაკის, რასის, რელიგიის, სოციალური და კულტურული კუთვნილებისა.
კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები	პროგრამის ათვისების შემდგომ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს: • მრავალპროფილური და სპეციალიზებული კლინიკის რეაბილიტაციის განყოფილებაში, • მრავალპროფილურ და სპეციალიზებულ რეაბილიტაციის ცენტრში, • პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, • საკურორტო და ველნეს ცენტრებში, • სპორტული და სპორტულ–გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სარეაბილიტაციო სამსახურში, • სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, • შეუძლიათ ჩაერთონ თემზე დაფუძნებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში.